აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭო

BOARD OF REPRESENTATIVES OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59 ტელ: (+995 431 244778) ფაქსი (+995 331) 24 38 33
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი ელ. ფოსტა atsu@atsu.edu.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირის –

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება

№ 34

ქ. ქუთაისი **23 დეკემბერი 2019 წ.**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“

სარედაქციო - საგამომცემლო საბჭოს დებულების

დამტკიცების შესახებ.

1. დამტკიცდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სარედაქციო - საგამომცემლო საბჭოს დებულება წარმოდგენილი დანართის სახით.

   /დანართი თან ერთვის/

2. დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი: **პროფ. სულხან კუპრაშვილი**

დამტკიცებულია სსიპ აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2019 წლის 23 დეკემბერის # 34 დადგენილებით

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სარედაქციო - საგამომცემლო საბჭოს დებულება

მუხლი 1. საბჭოს დანიშნულება

1.1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში აწსუ) აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, ან/და სხვა პირების მიერ მომზადებული სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომების (როგორც ორიგინალურის, ისე თარგმნილის) ხარისხის განსაზღვრის, გამოცემისთვის საჭირო დოკუმენტაციის განხილვისა და საბოლოო დასკვნის გამოტანის, აგრეთვე სარედაქციო-საგამომცემლო საქმესთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოგვარების მიზნით უნივერსიტეტში იქმნება სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო (შემდგომში საბჭო);

1.2. საბჭო საქმიანობას წარმართავს უმაღლესი განათლების კანონის შესახებ საქართველოს კანონის, აწსუ-ს წესდებისა და საგამომცემლო საქმესთან დაკავშირებით არსებული სხვა ნორმატიული აქტებისა და ინსტრუქციების შესაბამისად.

მუხლი 2. საბჭოს ორგანიზაცია

2.1. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: უნივერსიტეტის რექტორი (საბჭოს თავმჯდომარე), რექტორის მოადგილეები (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები), რექტორის მიერ ბრძანებით დანიშნული საბჭოს კოორდინატორი, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე, ფაკულტეტების დეკანები, გამომცემლობის დირექტორი, უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის მთავარი რედაქტორი, გაზეთ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რედაქტორი, კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკის დირექტორი, სტუდკავშირის პრეზიდენტი;

2.2. საბჭოს შემადგენლობას ექვსი წლით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო;

2.3. საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების პროცესს წარმართავს საბჭოს კოორდინატორი;

2.4. საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს მდივანს, რომელიც აფორმებს საბჭოს სხდომის ოქმებს.

მუხლი 3. საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილება

3.1. აწსუ-ში საგამომცემლო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, შესაბამისი გადაწყვეტილებების (მათ შორის დაფინანსების) მიღება და გამოსაცემი ნაშრომებისათვის სათანადო გრიფის მინიჭება;

3.2. ფაკულტეტების საბჭოებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ სასწავლო და სამეცნიერო წიგნების (სახელმძღვანელოების, დამხმარე სახელმძღვანელოების, ლექციების კურსების, მეთოდური ლიტერატურის...) და სხვადასხვა სახის პერიოდული გამოცემების (კრებულების, ალმანახების, ერთდროული გაზეთების...) დაბეჭდვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი მომართვებისა და რეკომენდაციების განხილვა და სათანადო გადაწყვეტილებების მიღება;

3.3. აწსუ-ს სტუდკავშირის მიერ რეკომენდირებული სტუდენტური კრებულებისა და ალმანახების გამოცემასთან დაკავშირებით გამოგზავნილი მომართვების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

მუხლი 4. გამოსაცემი მასალის წარდგენის სავალდებულო წესი:

4.1 გამოსაქვეყნებელი მასალა ავტორმა (ავტორებმა; გამოცემის ინიციატორებმა) უნდა წარმოადგინოს საბოლოოდ დასრულებული სახით როგორც ელექტრონულად, ისე ბეჭდური ფორმით;

4.2 ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი დარგის ორი მაღალკვალიფიციური სპეციალისტის რეცენზიები, რომლებიც დადასტურებული იქნება შესატყვისი დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერებითა და ბეჭდით.

4.3 იმ შემთხვევაში, თუ ნაშრომის (წიგნის) გამოცემა ფინანსდება უნივერსიტეტის, ფაკულტეტის, ანდა სხვა რომელიმე სტრუქტურული ერთეულის მიერ, მაშინ ნაშრომთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს საამისოდ აუცილებელი შესაბამისი დოკუმენტაცია სათანადო ხარჯთაღრიცხვის თანდართვით;

4.4 საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს კოორდინატორი საბჭოს თავმჯდომარესთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე უფლებამოსილია ნაშრომი ცალკეულ შემთხვევებში გააგზავნოს დამატებით რეცენზირებაზე;

4.5 საბჭოს სხდომა ტარდება საჭიროებისამებრ (კვარტალში ერთხელ მაინც);

4.6 დადებითი გადაწყვეტილების მიღების შედეგ გამოცემული ნაშრომის სატიტულო გვერდზე აღნიშნული უნდა იყოს, რომ წიგნი გამოიცა უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით. აქვე უნდა იყოს დაფიქსირებული წარმომდგენი დეკანატი, სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება, ანდა შესაბამისი დეპარტამენტი და წიგნის გამოცემის დამფინანსებელი;

4.7 წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ავტორს მიეცემა სათანადო მიმართვა უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორთან წარსადგენად;

4.8 დასაბეჭდად წარმოდგენილი ნაშრომის გამოუქვეყნებლობის მიზეზი შეიძლება იყოს მეცნიერულად დაბალი დონე, პლაგიატის გამოვლინება, ენობრივი გაუმართაობა და სხვა ხარვეზები;

4.9 საბჭოს რეკომენდაციით გამოცემული წიგნების ავტორები ვალდებული არიან ნაბეჭდი პროდუქციის სამ-სამი ეგზემპლარი უსასყიდლოდ გადასცენ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას. აწსუ-ს ამა თუ იმ სტრუქტურული ერთეულის მიერ დაფინანსებული ბეჭდური პროდუქცია წარმოადგენს უნივერსიტეტის საკუთრებას. მათგან ავტორისათვის გადასაცემი ეგზემპლარების ოდენობის საკითხს განსაზღვრავს დამფინანსებელი ფაკულტეტის ადმინისტრაცია, დანარჩენი ეგზემპლარების გავრცელებას კი ახდენს გამოცემის ორგანიზატორი დაწესებულება, რაც გაფორმებული უნდა იყოს შესაბამისი წერილობითი დოკუმენტით;

4.10 სხდომის მიმდინარეობასთან დაკავშირებით საბჭოს მდივანი აფორმებს სათანადო ოქმს.

მუხლი 5. საბჭოს უფლებამოსილება და ანგარიშვალდებულება

5.1. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

5.2. საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე ან მოადგილე და მდივანი.

5.3. საბჭო ანგარიშვალდებულია აწსუ-ს აკადემიური საბჭოს წინაშე.